

1920 1920

საქართველოს

მთავრობის
მინისტრის
663/2105

3-16.

მაზი და ღვინო

წელიწადი პირველი.

№ 10

გიორგოვისთვე 1920 წ.

№ 10

ვ 0 6 1 1 6 0 :

- | | |
|---------------------------------------|---------------------|
| 1. ნეკროლოგი | 6. ჩოლაძეშვილი . |
| 2. მოწინავე | 7. ანდრონიქაშვილი . |
| 3. ლვინის წარმოშობა | 8. შალამბერიძე . |
| 4. მოხსენება მთავრობის თავმჯდომარეს . | |
| 5. ცნობები | |
| 6. წერილები ადგილებიდან | |

უურნალის გამოცემის პირობები:

უურნალი ჯერჯერობით გამოვა ორ კვირაში ერთხელ, არანაკლებ 16 გვერდისა. თითო ნომრის ფასი საბჭოს მიერ განსაზღვრულია 50 ბაზ. ამ ფასით უურნალის გა-
მოწერა შეიძლება სამი თვით.



უურნალის რედაქცია იმუდოება საბჭოს ბინაზედ — თბილისი,
ნინოშვილის ქუჩა № 5.

კახეთის მუნიციპალიტეტი
კომისარი ვაკელია



Виноградарей Кахетии

თბილისი რუსთაველის ქუჩა № 33
კახეთი, სადგური „მუკუზანი“, კახეთის რეინის გზა.

„კავშირთ-კავშირი“ დარსებულია 1918 წელს. წესდება დამტკიცებულია თბილისის საოლქო ხასამძღოლოს მიერ 1919 წლის 8 თებერვალს. „კავშირთ-კავშირში“ შედიან გელისციხის, გურჯაანის და კარდანახის შემნახველ გამსესხებული ამსახა-გობანი 4400 წევრით, რომელთაც 4200 დენარის გენანი აქვთ.

„კავშირთ-კავშირის“ გამგეობა, მთავარი კონტროლი და საწყ-ობი მოთავსებულია საკუთარ ბინაზედ კახეთის რკინის გზის სადგურ მუკუზანთან.

საყურადღებო

დამოუკიდებულ მიზეზების გამო დღევანდვამდინ ქურნალის გამოცემა მა შეფერხებული იყო და ამის გამო ზოგიერთა ცნობები დაგვიანებით არის მოთავსებული.

რედაქცია.

† ილია წინამძღვრიზოდი.

2 ენკენისთვეს ტფილისში გარდაიცვალა მცხოვანი საზოგადო მოღვაწე, საუკეთესო მამულიშვალთაგანი და მეურნეობისთვის ოვდადებული პიროვნება ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი. განსვენებული 86 წლისა გადაიცვალა და მოელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მოანდომა უმშიკვლო საზოგადო მოღვაწეობას და ქართულ მეურნეობის აყვავებას.

ილია წინამძღვრიშვილს გატაცებით უჟვარდა სმშობლი და მისი ღრმა ჩრდენით საქართველოს ტყვეობიდან დასხანა შეიძლებოდა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ნივთიერ უზრუნველყოფით, და ერთადერთ საწყალებას ამ მიზნის მისაღწვევიდ მეურნეობის გაუმჯობესებაში ხედავდა. — გაუმჯობესებული მეურნეობა ჰქმის ხალხთა სიმდიდრეს, ეს უკანასკნელი კი სულის სიძლიერეს და თავისუფლებისკენ მისწრაფებასო... ასე აზროვნებდა მცხოვანი ადამიანი და ამ მიზნით დაარსა მან თვის მამაპაპეულ მამულში წინამშვარიანთ-კარში სამეურნეო სასწავლებელი და მოახერხა, რომ ქართული ენის დევნის

დროს ამ სასწავლებელში შეგრძილების შევლით საგნები მშობლით ენაზე; ეს ერთადერთი სკოლა იყო, საღაც ქართული ენა თამაბიდ ისმოდა და ახლოგაზობას საშვალება ჰქონდა საგნები მშობლით ენაზე შეესწავლა. ამ სამეურნეო სასწავლებელს, რომელსაც ფართო საზოგადოება წინამძღვრიანთვარის სკოლის სახელით იცნობს, აღისარდა არა ერთი და რაი ჩვენს სასოფლო მეურნეობის ასპარეზზე მოღვაწე. აქ, ამ სკოლაში, მეურნეობისადმი სიყვარულ ჩანერგილი ახალგაზღვობა მიიღო ტვილი რუსეთისკენ, ყირიმში, რომ საგანი უფრო საფუძვლიანათ შეესწავლა და სამშობლოს მეტად გამოსტყომოდა. დღევანდელი მოელი რიგი სასოფლო მეურნეობის მოღვაწეთა ამ სკოლის პირმშონი არიან, შემდეგ სხვა უმაღლეს სკოლებში ნასწავლნი და ცხოვრებაში გამოცდილი, განსვენებული ილია წინამძღვრიშვილი ამაყობდა იპირ, რომ მისმა შექმნილმა სკოლამ ქვეყნას მისცა ისეთი მოღვაწენი და მუშავი სასოფლო მეურნეობაში, როგორიც არიან ს. ხუნდაძე, ნ. მაქარაშვილი, კ. ნაკაშიძე, მ. მამულაშვილი და ბევრი სხ. ილია წინამძღვრიშვილის ცხოვრება უდრიდა მწირის ცხოვრებას, — ყველაფერს რასაც კი შოულობდა თვის საიუვანებელ სკოლას უკლებლივ აძლევდა საასტებოთ და თავისთვის კი შემის ფულსაც არ იმეტებდა — ჩემს სკოლას, მათში მოსწავლე ახალგაზრდობას რეეჭულები და ფანქრები დაპლდებათო, და ამ ფიქრით გატაცებული, ღრმათ მოხუცებული ილია ნოტარიუსის სავარძელს არ სტოებდა, რომ თვის პირმშო სკოლისთვის ორიოდე გროში ეშვენდა..

ასეთი იყო პიროვნება ილია ივანეს ძე

ଫିନାମଦଲ୍ବରୀଶ୍ଵୋଲିଙ୍ଗିକା ପ୍ରଥମଶତାବ୍ଦୀ ରୁଦ୍ଧ ଏବଂ
ତିବ୍ୟ ଅଳ୍ପମହିନ୍ଦା ମିଳି ଅନ୍ଧରାମ, ରନ୍ଧରେଣ୍ଟ-
ଶାକୁପ ଯ୍ରତାତ ଯ୍ରତି ମତାଯାକା ଆଶିଃ ଗବମିଲିତକ୍ଷେତ୍ରାମ-
ଦା, ରନ୍ଧର ମିଳି ନେତ୍ରିତ୍ତ ଡାଲାଟଲାବ୍ୟୁଲିଙ୍ଗ ଯନ-
ତ୍ରିଲ୍ଲିପୁଣ ମିଳି ଶ୍ରେଷ୍ଠମିଳି କ୍ୟାମିଲି ଯଥିଲେ ଯ୍ରା-
ରଙ୍ଗଲ୍ଲବ୍ରତୀ, ରନ୍ଧର ମିଳି ଶ୍ରେଷ୍ଠ ଯ୍ରତିଗାଲନ୍ଦା
ମୁଦ୍ରାଦି ପି ପାଦଶ୍ରୀତ ଶରୀରିକ, ରନ୍ଧରେଣ୍ଟନ୍ତିପ
ଲୋକଜଳି ମେହୁରନ୍ତେବୀଳି ଅବାର୍କେଣ୍ଟିସିତେବୀଳି ଯମ-
ଶାଦ୍ୟବୀଳି ରୁ ରନ୍ଧରେଣ୍ଟି ନାରୀର ଆଶରନ୍ଦିନ୍ଦ୍ରି-
ବାସ ମିଳି ଲୋକରୀ, କ୍ୟାମିତ୍ରାଯି ରୁ ମୁଦ୍ରାଦି ପା-
ଶ୍ରୀକି ଶ୍ରେଷ୍ଠ ପାଦକ୍ଷେତ୍ରବୀଳି ମୋହଲିନ୍ଦ୍ରି-
ମନଦା.

კველა ქართველს გეგვიძლიან კონა-
ყოთ განსვენებულის, პიროვნებით, და ბე-
ლნი იერია ხალხი, რომელსაც ილა წინამ-
ძლვრი შვილისთვანი მოკირნახულე თანა-
მებამულენი ჰყავს.

უკვდავი იუქია ეტა თაცლი, ცეკვე-
სო მამულიშვილი, ცყვლა შეგნებულ მე-
ურნის ხსოვნაში.

ၬ. နေပြုရွှေချိုလ်။

ତଥାଲୋସି, ନୀର୍ମିଦେଖି.

କ୍ଷେଣ ପ୍ରାଣନମିତୁରି ଗାନ୍ଧିରୁଙ୍ଗବା ତନଙ୍କା-
ତାଙ୍କ ଶର୍ଦ୍ଦର୍ଲୁଙ୍ଗବା ଦା ଆଶ୍ରାନ୍ତେଲି ବେଳେବା; ୩୦-
ରୁ ସାଥେଲମ୍ଫିଟ୍ୟ ଦା ଶ୍ରମବା, ବ୍ୟରପ ହିଲା-
ଜୀବ ତ୍ରୈତିମାର୍ତ୍ତପ୍ରେଲାନ୍ଦାନି ଦା କ୍ଷେତ୍ରମ ତିର-
ନି ପ୍ରେର ଶ୍ରଦ୍ଧାବିନା ତର୍କଗର୍ଜେଶ୍ଵରୁଲ ପଦ୍ମବିନ୍ଦୁ-
ଦିତ ଗାମନ୍ତ୍ର୍ୟେଶ୍ଵରା ମାତରମ୍ବନିଲୁଙ୍ଗବଦ୍ବେଳି. ତାଙ୍କ
ମେ ଯୁନାନିନ୍ଦିତ୍ତର ଗ୍ରେମିସ ଶ୍ରେଦ୍ଧକ ଦା ମିଳିବା
ଗାନ୍ଧନ୍ତ୍ର୍ୟେଲୁଙ୍ଗବା ଶ୍ରେଷ୍ଠଲୁଙ୍ଗବେଳି ବେଳେବା;
ଦଲ୍ଲୁଙ୍ଗବନ୍ଦେଲି ଗ୍ରେମା ବ୍ୟାଲ କ୍ଷେତ୍ରଗାସ ମନ୍ଦିଶ୍ଵର୍ନ୍ଦ୍ର-
ଲାନ୍ଦାଶ ଦା ଅମିତ୍ରମ ପ୍ରେଲା ଡାର୍ଶିଶ୍ଵର୍ବନ୍ଦୁଙ୍ଗ-
ଦେବିକ ଦା କ୍ଷେତ୍ରମ ତିରତା ହୋଇମେବା ଦାମ୍ଭୁକାର୍ତ୍ତ-
ମୁଲାକ ମନ୍ଦିରମଧ୍ୟ ମନ୍ତ୍ରମଧ୍ୟ ପାଦିତ ଗାତରାଳିସ-
ତିନ୍ଦ୍ରବ୍ରାହ୍ମ ମନ୍ଦିରମଧ୍ୟ... ଯୁନ ମିଶ୍ରପିଲାକ

კველა წარმოების გაჭირებას კურტაცია
გადვირება, მისი ვადის შემცირება, აღებ
მიცემობის პირობების განხლება, ვაჭრო
ბაზი სპეციალისტის გაბატონება, მრეწვე
ლობის დაქვეითება და სხვა და სხვა უბრ
ძურება.

ଏବେ ଦ୍ୱାସିତ୍ରେ ଗାର୍ହଶ୍ଵେ ପ୍ରେଲିଟ୍ରିକ୍ୟୁରି
ଫିରୋଡ଼େବୀଟ ଗାମନ୍ଦିର୍ୟୁଲି ଥିଲିଲିଠିଥାପ୍ରି,
ରାମଜ୍ଞଳୀଶାପ ନେତ୍ର ସଙ୍ଗେ ଅନ୍ଧାନ୍ଦ୍ୟୁଲାପଣୀତ
ଶ୍ଵାର୍ଯ୍ୟଭେଲି ବାର୍ଜି, ମରାଗାଲି ମୁଖୀ ବାଲିଥି
ଫିରୋଡ଼ିର୍ଥ୍ୟ ଗାନ୍ଧିବା ଦା ମାତି ପାରିମନ୍ଦେବିଶ-
ବାନ ହିମନ୍ତିର୍ବେଦୀ ଦା ସବ୍ରା ମି ଗ୍ରାହି ଗାର୍ହ-
ମନ୍ଦିରାନ୍ତି, ଦା ପ୍ରଥାତା ଲାଗିନାଥାବୁତ ମି ଲ୍ୟ-
ରୋତ୍, ତୁ ରାମଦ୍ଵାରାଦ ଲରମା, ମିଲିଷ୍ଟିପଲ୍ଲେନ୍ଦ୍ରୀଲା
ଦା ମରାଗାଲି ମାନ୍ଦ୍ର ଫେର୍ବେଦୀ ହିନ୍ଦୁରାଜୀ ବାଦ-
ଥିଲିଲି ବ୍ରାହ୍ମଶ୍ରୀ ମାନ୍ଦ୍ର ମାନ୍ଦ୍ରିବୁ, ରାମଜ୍ଞଳିନ୍ଦ୍ର
ଦ୍ୱାସିନ୍ଦ୍ରଭାଲିଙ୍ଗ ମିରାଜିରୋଲିପଦ୍ମ କ୍ଷମିତ୍ରି
ଦାଲ୍ମିତ୍ରି ଆକ୍ରମିତ୍ରି.

გაძინებული ას გარდასახვევი გა
არსად მოსჩანს. მოქალაქე ფსიხოლოგიუ
რათ გრძნობს ამ გარემოებას და როგო-
რც მორვეში ჩათრეული აღარ ზოგად
თავის მეზობელს: შეშინებული და დამ
შეული ან და ტრეველი იყი ცდილობ
რაც შეიძლება მეტს გამოტანეს დღვევან
დელ დღეს.

ରୀତିରେ କାହାର ପାଦରେ ଏହାର ପାଦରେ କାହାର ପାଦରେ
କାହାର ପାଦରେ ଏହାର ପାଦରେ କାହାର ପାଦରେ କାହାର
ପାଦରେ ଏହାର ପାଦରେ କାହାର ପାଦରେ କାହାର ପାଦରେ
କାହାର ପାଦରେ ଏହାର ପାଦରେ କାହାର ପାଦରେ କାହାର
ପାଦରେ ଏହାର ପାଦରେ କାହାର ପାଦରେ କାହାର ପାଦରେ
କାହାର ପାଦରେ ଏହାର ପାଦରେ କାହାର ପାଦରେ କାହାର
ପାଦରେ ଏହାର ପାଦରେ କାହାର ପାଦରେ କାହାର ପାଦରେ
କାହାର ପାଦରେ ଏହାର ପାଦରେ କାହାର ପାଦରେ କାହାର
ପାଦରେ ଏହାର ପାଦରେ କାହାର ପାଦରେ କାହାର ପାଦରେ

აგრეთვე ისიც, რომ უმთავრესი ჩვენი ყურადღება და ძალები სასოფლო მეურნეობის განვითარებაზე უნდა იყოს მიმართული. ლეინო, პური, მატული, აბრეშუმი, თამაქო, ყველანაირი ხილი, საქონელი და სხვა — ი ჩვენი უმთავრესი სიმღიდო. მხოლოდ მაშინ, როდესაც მიწის მოსავილს გავაძლიერებთ იმდენად, რომ მოგვეცემა საშუალება არა მარტო დავაკმაყოფილოთ ჩვენი საკუთარი მოთხოვნილებანი, არამედ ზედმეტი ლირებულობის საქონელი შევქმნათ და გავიტანოთ საზღვაო გარეთ, — მხოლოდ მაშინ დავადგებით ცხაცურების გაითვების გზას.

სამწუაროთ ჩვენი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა სხვა მიმართულების გზს მისდევს. საქართველოს საუკუთხესო შეილების ცოდნა, ენერგია და უკველგვარი ძალ-ღონე მიმართულია ჩვენი ეკონომიკური უძლიურების მოსარჩევად სხვა და სხვა პოლიტიკურების და სოციალისტური რეცეპტების გამოვლენით. მილიონები იხარჯება სხვა და სხვა დაწესებულებებზე ცხოვრების ყველა დარგის საჩვევისტრაციოთ და სახელმძღვანელოთ და ამავე დროს თითქმის არავითარი ნაყოფიერი და სასარგებლო არ კეთდება იმ ნიადაგზეც, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენს ეკონომიკურ კეთილმყოფობას.

თუ არ ითქმის, რომ ჩვენი სასოფლო მეურნეობა ხრულიად დავიწყებული და მიტოვებულია, ეს მანიც ცხადზეც უცხადესია, რომ იგი მოკლებულია. სათანადო კურადღებას, დახმარებას და მფარველობას.

იმ დროს, როდესაც ვაჭარს და მრეწველს ეძლევა სხვა და სხვა გვარი უფლება და დახმარება, როდესაც მას ჰყავს თავისი წარმომადგენელები სახელმწიფო ბანკ-

ში, ეკონომიკურ საბჭოში და სახურავულობა მნიშვნელოვან სახელმწიფო დაწესებულებებში, — სოფლები, მიწაზე მომუშავე, მოკლებულია ყველა ამ უფლებებს; მისი ხმა არსად ისმის, მას არ ჰყავს თავისი ვექილი.

ეს გარემოება ჰქმნის ქალაქის მიერ სოფლის ინტერესების დავიწყებას, უკუგდებას, დაშორებას. ქალაქის ვაჭარი და სოფლები ერთმანეთის ჯიბრით აძირებენ თავის საქონელს, იჩენნ ერთმანეთის უნდობლობას და ჰქმნიან იმ ატმოსფერას; რომლის შედეგათ თანდათან მწვადება უამისოთაც გამწვავებული ცხოვრება.

ამის გარდა, დადგა ის ხანა, როდესაც ცალკე პიროვნებას თითქმის დაკარგული აქეს რამე მნიშვნელობა, — მხოლოდ კოლეგიების, მის მოთხოვნილებას და საქორებას, საზოგადოთ, აქცევენ ყურადღებას და ამ გარემოებას უნდა გაეწიოს ან გარიში.

მიმღინარე ხანაში შეუძლებელია კერძო — გან უალკევებული მუშაობა, — საქორო სასოფლო მეურნეობაშიც გაერთიანებული ძალების მოკრეფა, გაერთიანებული წარმომადგენლობა, რაღაც მხოლოდ ამ რიგად თვითმართველობის პრინციპზე ავტორი მოგება, საშუალებით შესაძლო განდება, ერთის მხრით, მძლავრი მრავალ ვარი თვითდახმარება და, მეორეს მხრით, სახელმწიფო დაწესებულებებში საპატიო აღილის მოპოვება.

იმიტომ ყველა სოფლები მეურნე დის კმაყოფილებით და სიხარულით უნდა მიეგებოს ქვემოთ, ამ ნომერში მოთავსებულს მელიუნე — მევენახეთა ყრილობათა საბჭის დაგენილებას და მის მიერ გადადგმულს ნაბიჯს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ყველა დარგის წარმომად-

გენელთა ორგანიზაციებთან შეთანხმებით შეუდგა ცენტრალურ თორგანოს განხორციელებას—სასოფლო მეურნეობის პალატის სახით.

შემდეგ ნომრებში მკითხველი იპოვის დაწვრილებითს ცნობებს პალატის შემაღებულობის და დანიშნულების შესახებ, აქ კი ჩვენ ვვინდოდა მიგვექცია ყურადღება იმ გარემოებაზეც, თუ რა მდენად ეს ახალი დაწესებულება სასურველს და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სამშობლო სასოფლო მეურნეობისათვეს.

o. ანდრონიკა შვილი

ღვინის ნარმოზობა

თუ რა გავლენას ახდენს ჰაერი კოდაში შენახულს ლვინოზე, ამის შესახებ გაკვრით გვქონდა ცოტა რამ მოხსენებული. აქ მას გავიმეორებთ მოსაგონებლად და ცოტა რამეს კიდევ დავუმზრდთ, რომ სრული წარმოდგენა გვქონდეს ამ საკითხის შესახებ.

ხეში არსებულ სკრეტოების შემწეობით ჰაერი ჩადის კოდაში და სამაგიროდ ამავე სკრეტოებიდან გამოდის გარეთ ჰაერში ლვინოში არსებული, დუღილის დროს უმთავრესად ჰაქტიდან გაჩენილი ნამჟანგი (CO_2). ამ მოძრაობას ხელს უწყობს მარნის სითბოს და აგრეთვე ჰაერის წნევის (დაწოლის) ცვლილება. როცა სითბო მატულობს და ჰაერის წნევა კლებულობს, ლვინოს სტილდება ნამჟანგი (CO_2) და კოდიდან გაჩერთ გამოდის; ხოლო როცა სითბო მარაში კლებულობს და ჰაერის წნევა მატულობს, მაშინ

უანგბალი (ჰაერში არსებული) დაში და ისსნება ლვინოში. ამას გარდა ჰაერის უანგბალის შემთხვევა ეძლევა ლვინოს გადაღების დროს. და უმთავრესად სწორედ ამ დროს ერთვის ჰაერი ლვინოს, თორემ მხოლოდ სკრეტოების შემწეობით მოქმედების ამარად რომ დარჩეს ლვინო, მას ნამეტანი დიდი დრო დასჭირდებოდა დასაშიფრებლად. მაშინადან მოღინის გადაღების მხოლოდ ის კი არა აქვს მიზნად, რომ მას ნალექი მოსცილდეს, არა მედ ისიც რომ გასხვედ ჰაერმა იმოქმედოს და აგრეთვე ზედმეტად ლვინოში არსებულ ნამჟანგი (CO_2) განმორდეს. ამით რასაკირებული ლვინის გემო და ოვისება იცვლება. მოკლე დროს განმავლობაში ან, თუ ლვინო უკვე ცოტათი ხანში შესული, რაც დენიმე დღის შემდეგ გადადებული ლვინო იმღვრევა და უანგბალის ზემაღებელი ნაწილები უსსნელი ხლება და იწყებს დალექვას.

სანამ სიმღვრივე არ დაილექვის და ლვინოარ დაიწმინდება, იგი ცხადია სასმელად არ გამოღვება.

პირველ გადაღების დროს საჭიროა რაც შეიძლება მეტი ჰაერი გაერიოს ლვინოს, რადგან ამ დროს ხშირად თვით დუღილიც კა არ არის ხოლმე დამთავრებული, შემდეგში კი თანდათან სიყრისხილით უნდა გადაღება, რაღაცაც მოძველებულს ლვინოებს ზედმეტმა ჰაერის უანგბალმა შეიძლება აწყინოს კიდეც. ამის მიხედვით ლვინოს ხან მაღლიდან ასამენ ისეთნაირად, რომ წინ წელებად დაიფრქვეს და იქნებ აქაფდეს კიდეც, ხან კი მიღების ტუმბოების შემწეობით, აგრეთვე შეჯგუფულ ნამჟანგით (CO_2) გადილებენ ერთ კოდიდან მეორეში. განსაკუთრებით ძლიერად მოქმედობს ლვინოზე ჰაერი და უცვლის მას გემოს



მაღალ ობიდანდჲე (ტეპშერატურასხე), სი-
ცხეში. ამ დროს ეთვისება მას ერთგვარი
დაქანგვის გემო, რომელსაც ჰაერის გემოს
ეძახიან. ხანდახან მისითანა ღვინოებს ერთ-
გვარი ჰყურის გემოც ეძლევა, განსაკუთ-
რებით ხამტრეთ ქვეყნების ღვინოებს. რა-
დგანაც ზოგს მოსწონს ღვინოში ასეთი
გემო განგებაცა სცლილობენ მის გაჩენას,
რისთვისაც ნაკლულ კოდებს მზეში ჯამო-
ავორებენ ან მზისაფან განურებულ თუ-
ნუქის სახურავებიან სხვენებში ათისებენ
ხანგრძლივოთ.

თუ ლეინის რომელ შემადგენელ ნაწილებზე მოქმედობს ჰაერის ენგზალი, ეს საკითხი ჯერ სავსებით არ არის გამოკლეული, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ მისი გავლენით იცვლება ლეინოში არსებული ცილობი ნივთიერებანი და ეგრეთ წოდებული ქლოროფილი, მცენარეების ოვის მწვანე ფერის მიმცემი სხეული. ამ უკანასკნელ ნივთიერების, ქლოროფილის ცვლილებაზე დამყარებული ის ხშირად შვერინიერი ოქროს ფერი, რომელიც თეთრს ღვინოებს საამუშა შესახედავადა ხდის და რომელიც ასეთს ფასსა სდებს რეინის ღვინოებს.

განსაკუთრებით მუქა ფერი ეძღვევა
ლეინს და ჰაერის მოქმედებით ლექი
ჩნდება, როდესაც დამპალი და გაფუჭე-
ბული მარცვლები ბევრია მტევანზე.
ასეთ მოელენასთანა გვაძეს ჩვენ საქმე
როგორც თეორის აგრეთვე წითელ
ლეინოებში, რის გამოც ნალექის და-
წმენდის შემდგა ლეინოები უფრო
ღია ფერისანი ხდებიან. თუ ყურძენი
დაკრეფის უმაღლევ ისე დაიჭირიტა და
დაიწურა, რომ ჰაერს ნაკლები დრო და
გარემოება ზოგცა მასზე მოქმედებისათვის,
ტკბილი უპატოდ დადუღდა და ახალ

გენის გადალების დროს ჰაერი წაკლებით მოვალეობა და გერია, მაშინ ღვინო მომწვანო ფერისა დგება, როგორც ამის ჩვენ სახლ-შითო მაშულების ღვინოებიდან ვხედავთ, ღრმოლებსაც ეკროპიულ წესით აყენებენ. ამისი მიზანი, როგორცა ვსოდით, ის არის, რომ ჰაერი არ უდგება და ვერა ეანგავს ღვინოს იმ შემაღებელ ნაწილებს, რომლებიც ფერს ყვითლად და უფრო მუქადაც (თუთხს ღვინოებში) იცვლიან ხოლმე; და რადგან ასეთი ღვინოები უჭირდაც დგებიან, მათ იმისი შემთხვევაც არა აქვთ, რომ ჩენის და კლერტის გამოაცალონ და გახსნან მათში არსებული მფერავი ნივთიერებანი. ამ ფერის შეცვლის (გამუქების) საწინააღმდეგო საშუალებად ითვლება გოგირდის ჩაბოლება იმ კურქელში, რომელშიაც ღვინის გადალებას აპირებენ; განსაკუთრებით იმისთვისას, რომელსაც ეს სენი უკვე შეჰქანვია.

მაღალ თბილანდის (ტემპერატურის) გაფლენა ღვინოზე. ხანდახან ღვინოს შეეპარება ხოლმე ზოგიერთი ისეთი არსებანი (როგორც მაგ: ძმრის მცირა, ბრუ და სხვ.), რომელის გამრავლებაც ღვინოს დიდ ზიანს უქადის. ისიც შესაძლებელია რომ ღვინო საესებით საღი იყოს, მაგან სადამე მასში მხოლოდ სასურველ ღვინოს დედის მეტი სხვა არაფერი ერიოს, ჰავ-ჩამ პატრიონს მა ღვინის ჩქარი დაწმენდა, მისი ზოგიერთი მეტ ცილობ ნივთორების და ლექვა და სწორედ ისე შენახვა სურდეს, როგორიც ის მა ღრმის არის, მაგალითად ტემპერატურის დარჩეს. მასთანა შემთხვევაში ღვინოს გათბობენ ხოლმე რე რავდენიმე წუთის განმავლობაში 700-800C-მდე, მა სითბოზე ღვინოში არსებული

თითქმის უკელა გვარი დაბალი ინსტანციი (მუიგბი) იხოვებიან.

რადგან იმ გვარი გამოკვლევა
ჰირველად საფრანგეთის გამოჩენილმა
მეცნიერმა პასტრიმა მოახდინა, ამიტომ
ამ საშუალებას პასტრიზაციას ეძახიან.
პასტრიზაცია არ უნდა მოხდეს თავის-
დის ქვაბებში, თორემ მას ამ შემთხვევ-
ვაში გემო უფუძლება ჰაერის მოქმედების
გამო. ამისთვის განსაკუთრებული მან-
ქანები არსებობს, რომლების შემწეო-
ბითაც ეს უსიამოვნო მოვლენა თავიდან
აკილებულია. პასტრიზაცია შეიძლება
მოხდეს, რასაკვირევლია, აგრეთვე ჰირდა-
ცულ ბათლებშიაც. როგორც დაკვირ-
ვებანი გვიჩვენებენ, ეს საშუალება სრულე
ბით არას აენებს ახალ ღვინოებს; ხოლო
რაც ძველ ღვინოებს შეხება, მისთვის კი
სასურველად არ მიაჩინათ. ამგვარად ჩვე-
ბის ურიზაციაში ისეთი საშუალება გვაძეს,
რომლითაც შევვილია ღვინო დავითა-
როთ ავადმყოფობისაგან, გადაბრუნებისა-
გან ან ჩუმ დუღილის გაგრძელებისაგან,
მაგრამ ჭველაფერი ეს შესძლებელია
მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას საი-
დანმე ხელ ახლად არ შეეპარა აღნიშ-
ნოლ მოვლენების მიზეზები.

(გავრძელება იქნება)

ମୁଦ୍ରଣ ପାତା ୧୫୩

www.QQ.com

მოგადის მთავრობის მანაზ გადმიშარეს.

(ପ୍ରଥମ ଶର୍ମିନାଥଙ୍କୁ ପ୍ରଦାନ ହେଲା ଏବଂ ତାଙ୍କୁ ପାଇଁ ପରିବାରକୁ ଧର୍ମପାତ୍ର ଦିଆଯାଇଛି)।

წევნი მელინება ს სშინელ კრიზის
განიცდის. პოლიტური პირობების შე-
ცვლის გამო მას დაეცარება ის მცირე ბა-
ზარიც-კი; რომელიც ჰქინდა, როდესაც
საქართველო შეადგნდა რუსეთის ნაწილს.
საქართველოში მზადდებოდა შვიდ მილი-
ონიამდე ცედრო ღვინო, რომლის $\frac{3}{4}$, ის-
მოდა ადგილობრივ, გარეთ-კი გაძვნდათ
ერთი მეოთხედი. საუბედუროთ ფართო
შრამოებელთა შორის აქმდისინ გამე-
ცებულია ძველი მამა-პაპური წესი ღვი-
ნის დაყვნებისა ქვევრებში, კაჭაზედ, როს
გამოც მზადდება მეტათ-ნაკლებად გამ-
ძლე და ეკროპიელთა გემონებისთვის მიუ-
ლებელ გემონების ღვინო. ყოფილ რუ-
სეთში საქართველოს მელინებას შეარ-
ცელობა ჰქონდა იმ სახით, რომ საზღვარგა-
რეთიდან შემოტანილ ღვინოზედ უდიდესი
ბაეთ იყო დაცებული, ცხრა მანეთი ვედ
როზედ, როჩესაც ადგილობრივი ღვი-
ნები ფასობდენ 1 გ. 20 კაპ.-დან სამ-მა-
ნეთამდე და უცხოეთიდან შემოტანილ
ღვინოს ვერ შეეძლო კონკურრენცია გაე-
წია წევნ ღვინოებისათვის იმ დიდ ბაზარ-
ზედ, რომელსაც წარმოადგენდა მთლია-
ნი რუსეთი.

ეხლა, კი ჩვენი მეღლინი ეობა უკიდურეს
პირობებშია ჩიყენებული: ჩვენ ღვინოს
რუსეთში გასავალი იღია აქვს და მოედო
მისი რაოდნენობა, რომ ამ დაეცეს წარ-

შოება, უნდა გასაღდეს საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებშიც; მაგრამ აქაც შეღვინეობა განიცდის კანკურენციას განჯიდან და ერევნიდან შემოტანილ ღვინოს მხრივ, რომლის ღირსება შედარტით ქართლურ-ეხურ ღვინოსთან მეტათ დაბალია და მცირე ფასებშიც იყიდება. მართალია, არსებობს შემოტანილ ღვინოზე მთავრობის მიერ თადებული ბაჟი, მაგრამ იგი იმდენათ მცირედია (ორმოცი მანეთი ვეღროზე) შედარტით არსებულ ფასებთან, რომ ორთვე გველენას არ ახდენს ჩვენი ღვინოს იმათთან თანასწორ პირობებში გასაღებაზე.

შესაძლებელი იყო ბაზარი მოგვენახა ევროპიულ ქვეყნებში, მაგრამ ჩვენებურ წესით დაყინებულ ღვინოს ევროპის ბაზარზედ სრულებით გასავალი არ აქვს. ჩვენ ამაში დაერწმუნდეთ ნიმუშების გაგზავნის შემდეგ ჩვენი მისიების საშვალებით ლონდონში, სტამბოლში, იტალიაში და გერმანიაში, საიდანაც მოგვივიდა პასუხი, რომ ზოგიერთ სახელმწიფოებში შეიძლება გასაღდეს ჩვენი ღვინო, მთოლოთ როდესაც იგი დაყინებული იქნება ევროპიული წესით.

ჩვენ მეღვინეობის ეხლანდელ მდგრამარეობას რომ სახელმწიფოებრივ მეურნეობის თვალსაზრისით შევხედოთ, საზრისდო დარგათ უნდა ჩითივილოს იმ დროს, როდესაც სხვა ქვეყნებში ასეთი ინტენსიური წარმოება, როგორც მეღვინეობაა ხალხის კეთილდღეობის მძღვანელყარს, შეარგენს. მოგეხსენებათ, რომ მეღვინეობას ესაჭიროება მთელი რიგი წამლეულობა: შაბი-მანი, გოგირდი, პარიზის მწვანე და იარაღები, რომლებსაც ჩვენი რესპუბლიკა საზღვარ-გარეთ იძენს და ყველა ამის ხარჯი, ეხლანდელ

ფასებით სამას მიღიონამდე, უნდა გართ დავფაროთ მეურნეობის სხვა დარგების შემოსავლიდან; და იმის მაგივრათ, რომ მეღვინეობამ უფრო გააძლიეროს ჩვენი სკიდვა-შეძენის უნარი ევროპის ბაზარზე, იგი საზარალო ხდება და ს ექსჩენენს ვალიუტას, რადგანაც მთელი რაოდენობა ღვინოსა ისმის ადგილობრივ. საშვალებაც რომ მოგვეცეს და რუსეთი გაუაირეცეს ჩვენი მეღვინეობის ბაზართ, მაშინაც ჩვენი მეღვინეობა ცუდ პირობებში იქნება ჩამდგარი, რადგან ევროპის ღვინო და ჩვენი ღვინო ერთ პირობებში იქნებიან ჩაყენებული და ჩვენი მეღვინეობა მფრიველობას მოკლებული, კანკურენციას ვერ გაუწევს ევროპის ღვინოს.

ამ გარემოებას არ შეიძლებოდა არ მოქმედი თვით მეღვინეთა ყურადღება, რომლებიც არსებულ პირობების ძალით მეტის-მეტად უკიდურეს მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი, და მათ საფიქრებლად შეიქმნა, გამოენახათ საშვალებანი, რათა დავახწიოთ კრიზისს თავი და შევინარჩუნოთ ეს ძვირფასი დარგი მეურნეობისა.

კახელ-მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება „კახეთი“ ს წევრთა საკნეებო ყრილობამ გაითვალისწინა რა ყველა ეს, დაადგინა ამ შემოდგომაზედევ დაიწყოს ნაწილობრივ მაინც ეკრანიულ წესით ღვინის დამზადება და ბოლოს სრულიად გადავიდეს ამ წესით დამზადებაზედ. საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ამ საშვალებით შესაძლო გახდება შევინარჩუნოთ ჩვენი მეღვინეობა, გავაუმჯობესოთ ღვინის წარმოება და მეღვინეობას მივცეთ იმისთვის მიმართულება, რომ იგი არამც-თუ არ წარმოადგენდეს სახელმწიფო მეურნეობისათვის საზარალო დარგს, არამედ შეადგენდეს ერთ უმთავრეს შემო-

სავლის წყაროს. საზოგადოებას განზრახვა აქვს, ამ რიგად დამზადებული საფლოური საქონელი, გადასცეს მომარი რაგების სამინისტროს განკარგულებაში, რომელიც განაგებს საზოგადოებრთ მეურნეობისთვის საჭირო საქონელის შეძენას.

საზოგადოება დარწმუნებულია, რომ მმგვარი რეფორმა დიდიხანია უნდა მომზღვიულ ჩვენ მელვინეობაში. ჩვენს მელვინეობას დიდიხანია უნდა მოვპოვებინა შესაფერი ადგილი უცხო ქვეყნების ბაზარზე. და, დასახულ, ამ გვარად წარმოების გარდაქმნას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკაში და მთავრობის ყურადღებასაც დაიმსახურებს.

განზრახულ მიწის განსახორციელებლად კოოპერატიულ საზოგადოება „კახეთ“-ს უკვე აქვს მიღებული შესაფერი სი ზომები: შარშან შეიძინა თბილისში სარდაფი, რომლის ლარებულებაც შედგენს 30,000,000 მანეთს და რომელშიც თავსდება ასა თასი ვედრო ღვინოსთველ კარდანახში შეიძინა დესტრინანა ნახევარი მიწა, სადაც განზრისა აქვს გააკეთოს მომავლში სარდაფი და ჯერჯერობით კა აპირებს ააშენოს ღვინის საყნი და მასილების და ინვენტარის საწყობი, გამყევს რეინის გზის ლიანდაგის შტო; ოელავში აქვს შეძინილი. საწყობი ღვინისა და მასალისა, და მმგვარივე საწყობები და საწურავები მსუბუს გააკეთოს მომავლში კახეთის სხვა და სხვა რაონებშიც. საზოგადოება „კახეთ“-ს სწამეს, რომ უკვე ამისი განხორციელები შეიძლება მხოლოდ მელვინმჟარმოებელთა შეკავშირებით, როგორც ეს მოხდა ეკროპის სოფლის-მეურნეობის

განვითარებაში, და მისთვის შევენ მიღებული ზომები სპეციალისტთა-ინსტრუქტორთა დამზადებით გამრავლოს წვერთა რიცხვი, რომლებიც შესძლებენ დამზადონ საუკეთესო მასალა ეკროპიულ ღვინის დასაყენებლად. უკვე ამ განზრახვათ განსახორციელებლად საჭიროა დიდი თანხა, რომლის გაღებაც საზოგვდოების არ შეუძლიან თავისი მიმღინარეობა.

რაღანაც საზოგადოების მიერ განზრახულ გეგმის განსახორციებას აქვს უაღრისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, სბონგადოება „კახეთი“ სთხოვს მთავრობის თავმჯდომარეს აღმრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა მოგვეცეს ას თუ მილიონი მანეთი ხანგრძლივი სამპროცენტიანი სესხის ხუთი წლის ვადით.

სესხის უზრუნველ-საყოფად საზოგადოება გადასცემს მთავრობის განკარგულებაში მხელ დამზადებულ ეკროპიულ წესით ღვინოს და დაუგირავებს იმ თუ ათას ვედრო (20.000) ღვინის ნაშის, რომელიც აქვს მას ა. წ. 1 ნოემბრისთვის.



ცნობები.

— მელვინ-მევენახეთა ყრილობათა საბჭოს და მეცხვარე-მესაქონლეთა ყრილობათა საბჭოს თავოსნობით შესდგა ხორგანიზაციონ კომიტეტი საქართველოს სასოფლო მეურნეობის პალატის დასაბაზებლად, რომლის წესდებაც უკვე შემუშვებულია და ამ დღეებში წარედგინდა მთავრობის დასამტკიცებლად.

— სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრო-ნომიულ ფაკულტეტზედ გადაწყვეტილია მოწყვის მელვინების და მევენახევის კათედრები. ამ მიზნით მიწვეულნი არიან მელვინების კათედრაზედ ღინის ქიმიის ლექციების საკითხებად დამსახურ. პროფეს. პ. გ. მელიქიშვილი, მელვინების და მესარდაფეობის საკითხებად პრივ. დოკუნტი ღინის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილატოვი და მევენახების კათედრაზედ ს. მ. ჩილაყაშვილი. მელვინების და მევენახების კურსი წაეკითხებათ მე-IV კურსის სტუდენტებს.

— მიწათ მოქმედების სამინისტრომ მიიღო საფრანგეთიდან 12,000 ფუთი გოგირდი „ბუდა“ უმაღლესი ხარისხისა. გოგირდი განზრაულია გადაეცეს საზოგადო დაწესებულებათ მევენახეთა შორის დასარიგებლათ; რადგან საზღვარ გარეთის ვალიურამ მეტათ აიწია, გადაწყვეტილია იმ დროს გადაეცეს ეს გოგირდი საზოგადო დაწესებულებათ, რომა ვალიურის ღირებულობა საგრძნობლათ დაიწევს, რომ მევენახეთ ძვირი არ დაუჯდეთ ამ მასალის შეძენა. გოგირდი ნაყიდია 25 ფრანკათ ფუთი.

— კიათურის შავი ქვის მრეწველ სააქციო საზოგადოებისაგან მიწათ მოქმედების სამინისტრომ შეიძინა 33,000 ფუთი ფხვნილი შაბიაბანი უმაღლესი ხარისხისა, რომელიც ინგლისიდანაა შემოტანილი. შაბიაბანი გადაეცა გასანაწილებლად საზოგადო დაწესებულებათ და მოსალოდნელია, რომ ყველა ხარჯების გამოკლებით, მევენახეს ფუთი ამ შაბიაბანის 900 მანეთზედ ძვირიათ არ დაუჯდება.

— მიღებული ცნობების მიხედვით, ქართლში წრეულს ძალიან გაფუჭდა ვენახების მოსავალი სოკოს ვადმუოფობათ გამო. მოსალოდნელი არ ირის ერთი

მეოცედი წვეულებრივი მოსალოდნელი მარტი თისნები შეტათ ტარტუმის და საწამლავ მისალების სიცოტავით და სიძვირით.

— როგორები წრეულ საქართველოს კველა კუთხეში მეტათ მოიგვიანებენ ცივი და ნოტიო ამინდის გამო; მოსალოის ხარისხიც ამ მიზეზების გამო შეათანხედ ნაჯებია მოსალოდნელი.

— კახელ მევენახეთა „კავშირთ-კვ-შირის“ ინცუატივით, საქართველოს კონკრეტულ ბანკში მიწვეული იყო თათბირი მთავრობის და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელების თანდასწერებით, რომელზედაც მოისმინეს საბჭოს წევრის გ. ალ. წინამდებრიშვილის მოხსენება, მევენახეთა საქიროებათათვეს სახელმწიფო ბანკიდან კრედიტის გაფართოების საჭიროების შესახებ. თათბირმა დაადასტურა სიჭიროება კრედიტის გაფართოების და დაავალა მეტონომი. პ. გ. გედევანიშვილს და ს. მ. ჩილაყაშვილს სათანადო მოხსენება დაუმზადონ საბჭოს სახელმწიფო ბანკისადმი თხოვნის აღსაძლებლად.

— სიბჭომ შეადგომლობა აღძრა სახელმწიფო ბანკის მიმართ, რათა მან დაგირავებული ღვინო დაუზღვევლათ მიიღოს, რადგან ეს ოპერაცია ავერხებს საქმეს, ადვირებს კრედიტს და საერთოთ ცეცხლისგან ღვინის დაზღვვა მიზან შეუწონელია.

წერილები კავკაციიდან.

მარიამბისთვე.

გურჯაანის მევენახეობა და მეოცენეობის რიონბში შედის რვა თემი (საქობო, ვაჭირი, ანაგა, კარდენახი, ბაკურკახე, გურჯაანი, ახაშენი, და ველის ციხე), სად-

აც არის დანიშნული ერთი ინსტრუქტორი სპეციალისტი სამაზრო ერთის გან და ერთიც კ. აბაშიძე ეხლა იქნა დანიშნული მევენახეთი კავშირისაგან. რაიონი როგორც მოგეხსენებათ დიდია და ინსტრუქტორი ვერა სწოდება მთელს რაიონს. ინსტრუქტორი მოკლებულია ერობისავან ყოველგვარ მიმოსვლის საშვალებას, ექვსი თვის განმავლობაში ცხენიც კი ვერ უშოვეს მას. მუშაობა კი დიდია. ამასწინეთ გადავიარეს. ჩუმლაყის ამერიკულ ვაზის სანერგეები, სადაც ერთმა მუშამ გვითხრა გია მამიაშვილის ვენახში ვაზი სულ გადახმარ. მე და ჩუმლაყის სანერგის გამგე მაშინვე გავემგზავრეთ ვენახისეკნ. მართლაც ვაზი სულ გაყითლებულიყო. ამოვილეთ ხუთი მირი სხვადასხვა აღავას და გავშინჯეთ გამადიდებელი შუშით, რის შედეგიც იყო ფილოქსერის აღმოჩენა. ვენახი შეადგენს 1. დესეტინას და $\frac{1}{2}$ გამხმარია. შემდეგ ფილოქსერა აღმოვაჩინეს. გურჯაანში ნახიკიდა კოვილაშვილის ვენახში, რომელმაც გაღმომჲა, რომ ვარშან გამიხმა $\frac{3}{4}$ დესეტინისა და პური დავთვესეო. იმავ სოფელ შილდმოჩნდა ფილოქსერია ვანო ელიზარი-შვილის და გია კუპრიშვილის ვენახში. 5 მეტათვეს ჩემთან მოვიდა შექრო ელიზბარაშვილი და მთხოვა წაგულობრივი ვენახს გასაშინჯათ. ვენახს აშვართ ეტყომოდა ფილოქსერის ნიშნები.

ამოვილე სამი მირი ვაზი სხვა და სხვა ადგილის და აქაც აღმოჩნდა ფილოქსერი, რომელიც ვაჩვენე დამსწრეთ გამადიდებელი შუშით. ერთი სიტყვით ფილოქსერი შემდებულია მთელ რაიონში და, თუ დროზე არ იქნა ზომები მიღებული, მოღებული, განადგურება მოელის მთელ კახეთის მევენახეობას. ერთათ ერთი სანერგე არის მთელ რაიონ-

შიჩუმლაყისა, სადაც სხვა და სპეციალისტების გამო მარტო თროპიკული ნამყენი გაკეთდა წელს. მოთხოვნილება დადგი ნამყენისა, რაღანაც ყველა მცხოვრები მიხვდა, რომ ერთად ერთი საშვალება არის ამერიკული ვაზზედ ჩვენი ვაზის დამყნობა. ყურძნის მავნებელ ჭიათურაში ბრძოლა სწარმოებს კარგათ. კარდანაშა იმყოფება სპეციალისტი ვინოკუროვი და გურჯაანში ერობის ინსტრუქტორი. მხოლოდ ამ ერთი კვირის წინათ იქნა მომზადებული და გაგზავნილი ხუთი სტუდენტი დანარჩენს თემებში. ე. ი. თათო თემს ყავს ინსტრუქტორი ყურძნის მავნებელ ჭიათურას საბრძოლველად. ყურძნის მოსავალს ჯერჯერობით ძალიან კარგი პირი უჩანს და ჭიაც იმნაირად არ არის წრეულს მოდებული როგორც მოველოდით.

გურჯაანის რაიონის მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტრუქტორი

ე. ნაკაცია.

ახალგორის რაიონი (დუშეთის მაზრა). ჩეენი რაიონი ძალიან არის დაქვეითებული მევენახეობის მხრივ. ჯერ ისედაც ამ რაიონში ნაკლებათ არის გაშენებული ვაზი და, თუ ყოფილა, ისიც ძველი მამაკაპის დროისა, ახალი კი არაფერი გაკეთებულა. ამ ძველ ვაზსაც გაჩენილი აქვს სხვადასხვა ივაღმყოფობა, უფრო მეტ წილად ფილოქსერია, რომელიც სამუდამოთ სპობს ადგილობრივს მევენახეობას. მდგრამარეობა წლევანდელი ასეთია: ზაფთარი იყო დიდი, თოვლიანი, რის გამოც ხალხმა ნაკლებათ დაიმუშავა ვენახები; გაზაფხულიც ნოტიო დადგა, წვი-



მებიანი, რამაც თითქმის ნახევარ იქნისამ-
დე, გასტანა. შემოგომ დაიწყო მშრალი
დღეები. გაჩნდა ვენახებში ობი და მოუ-
წამლავი ვენახების მოხავალი მოლათ მოს-
პო. საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს
ამ დაქვეითებულს რაიონს, რათა ცოტა
ოდნათ მაინც ფეხზედ დადგეს იგი მეურ
ნების მხრივ.

ძისის საერობო მამულის გამგე

ა. ქვლიფიშეილი.

წინამდლერიანთ კარი. ვევენახების
მდგომარეობა ჩვენს საგურამოს მხარეში
(დუშეთის მაზრაა) ძალიან უნუგეშოა და
თავისუფლად შეგვიძლიან ვსტკვათ, რომ
დალუპვის კარხედ არს მიმდგარი, ერთი
სიტყვით, ჯერ უნდა შევექმნათ ახალი ვე-
ნახები და მაშინ მოვაწყოთ საჭირო ცნო
ბების მოწოდება. ეხლა აქ ვენახები აღარ
არის, გარდა ჩვენი სკოლისა, სადაც
ვენახი ნამყენია და კარგათაც გამოიყუ-
რება. ვენახების მოსპობის მიზნზი უმთავ-
რესად ფილოქსერა იყო და მისი ერთიან
ერთი წამილი კი ეს ნამყენი ვაზია, რო-
მელიც ჩვენ ი, სამშუხაროთ, სრულიათ არ
იშოვება, თუმცა ხალხში არის სურ-
ვილი მისი გამრავლებისა.

წლევანდელი წლელიშადი ვენახებისთვის
ძალიან ცუდი გამოდგა. ვაზიანები თუ
არის საღმე, ისიც დახრუული და გაფუ-
კებული გამოიყურება ობისა და ნაცრის-
გან. საღ მტევანს იშვიათად ნახავთ. ვენა-
ხებში ობის გამრავლებას ხელს უწყობდა
ნესტი, გადაქარბებული წვიმები. ნიაღ-
ვრებმა დააზიანა და მოლად წაილო სოფელ
ჯილდურაში 15 დღიურამდე ბაღ ვენახი,
ვაზი წალეკა და დამარხა. სეტყვა ჩვენენ

არ ყოფილია. ამნაირათ წელს ადგინისტრი-
სავალის არ მოველით სრულიად ჩვენში.

წინამდლერიანთ კარის სკოლის გამგე

გორგამაშვილი.

წინანდალი (თელავის მაზრა). ვენახებს
ნოტიო წლის გამო, მიუხედავად ორჯერ
და სამჯერ წამლობისა, მილიუ მოედო
და ყურძენი სციფა.

ფილოქსერა ძალიან მოედო ვენახებს
და აზიანებს. წინათ მარტო ჩვენი სოფ-
ლის ბოლო ვენახებში იყო, წელს კი
თეთოთ სოფლის ვენახებსაც მოედო
და ძალიანიც გააფუზა.

გოგირდი და შები საქმიან იშოვნება
ბაზარზე, მაგრამ ბევრს მევენახეს უძნე-
ლდება შეძენა სიცირის გამო — ფუთი გო-
გირდი ლის 950 მან. — 1200 მანეთამდე
და ცვითელი კარგი გორგიდი კი მეტიც.

შები კოოპერატივში 850 მანეთად ფა-
სობს. ხშირია ძალიან შემთხვევა, რომ
ფუთს გოგირდში იძლევენ 3 ფუთს პუ-
რის ხორბალს, ან 3 ჩატს ლვინოს ახალ
მოსავლისას, თორემ ძველი მოსავლისაც,
ვისაც ძალიან უჭირს გოგირდი. მუშა
ფასობს თვის პარატით და მევენახის
ხარჯით 350 მან., მევენახის პარატით
200 მან., პარატის ქირა 100 მ. — 150
მანეთამდეა.

ძეგრია ძალიან პარატის ნაწილები:
ძირითა რეზინი აპარატის ფასოს არა-
ნაცვლებ 350 მანეთისა; ეხლა წამლობა
რომ მისუსტდა იყიდება 350 მან.; თორემ
წინათ 450 მანეთზედ მეტად ღირდა.

დედაკაცი — ამხვევი ფასობს 80 — მან.
100 მან. თავის ხარჯით.

საპალნე ლვინო იყიდება 28,000—
40,000 მანათიდან.

სეტუვა იყო ამ ერთი თვეს წინათ და,
ადგინაც ქარიაზ ჰერიდა, ვენახები ბევ-
რით არაფრიათ დააზარილი.

დიმ. აზაური კოზმანიშვილი.

კონდოლი. საერთო მიმოხილვა ვენა-
ხებისა სოფელ კონდოლში და მის ახლო
სახლი ასეთია: როგორც მოგვეხსენებათ
კახეთში დიდძალი ადგილები დაისტუვა
და გაფუჭდა, როგორც სხვა და სხვა ნა-
სები ისე ვენახებიც.

13 კათათვეს კარგა შერძნობიერმა
კეტუვაზე გამოიარა გულგულა ახატელი,
კურდელელაური, კონდოლი და წინანდა-
ლი, ზოგი ადგილები ნამეტნავად დაშავდა.
კანები სულ მოლათ მოსპო და ვენახები,
როგორც ცოტა ზევით მდებარე, გაანა-
უცრა.

სეტუვის შემდევ ზოგგა შეორედ უწიშ-
ლა ვაზებს. კურძნის. ტოტებს ძალიან
აგრძნობდელი ზარალი არ მიაყენა, რად-
კანაც უკვე შემუშალი იყო.

ძალიან საგრძნობლათ არის გავრცე-
ლებული, ვაზას ვაზე ყაფობანი: მიღდიუ
და ნაცარი. წინააღმდეგ ამისა რიგიანათ
ჩაწმლი ზოგიერთი ვენახები ძალიან
კარგი სასიამოენო სანახავია. ზოგიერთ
ადგილს კახეთში წელს მცირ მოსავა-
ლი მოვა, ბევრათ ნაკლები ვიდრე წასულს
1919 წელს.

რაი ხალხი ყანებში გვიდა სამუშა-
ოთ, ვენახებს მუშახელი ძალიან დაკლ-
და. ფასები მუშისა დამჯირავებელის ხარ-
ით დღეში 400-500 მანეთი იყო. წარ-

სული წლის გისასყიდი ლვინო კურძნელი აღარ არის. მთხოვნელი კი ბევრია. ვე-
დრო ლვინო თელავში ღირს 1000—
1200 მ.

ზოგიერთა საქმელ ყურძენს უკვე თვა-
ლი შეუვიდა. ამინდები 20 მეტათვის
აქეთ კარგია, წვიმები სამყოფო იყო და
თავთავის დროზედ. ყურძნის ტოტები
რიგზედ იწევა, ისე რომ სამეტრისოთ მო-
სავლის იმედი უნდა გვქონდეს ყურძნისა.

შემჩნეული მაქვს რომ ყოველ 4-5
წელში ერთი ან ორი წელიწადი ზედ
ზედ მოუსავლიანია და ობეულების მხრით
დიდათ დაზარალებული, როგორც:
1900—10 წ., 1914—15 წ. და ებრაც
1919—20 წელიწადები. დანარჩენი წლები
შშრალებია და ყურძნისოფის ხელს-
ყრელი.

კახეთში ბევრს ალაგს არსებული სე-
ტუვის საწინააღმდეგო მორტირების სად-
გურები საერთოდ სდემინ, ან ვიცი,
მართლა ყველგან წამლის უშოვნელობის
გამო, თუ კველას მის სარგებლიანობაში
რწმენა დაეკარგა. მე კი პირადათ ისევ
ძლიერად მწამს მათი ძალა და მნიშვნე-
ლობა. მართალია, ბევრჯელ თვითონ
მორტირები სეტუვით იცისება ხოლმეო,

მაგრამ ბევრჯერაც გადარეკავს დრობ-
ლებს და, თუ ათს წელიწადში ორჯელ
ან სამჯერ ბუნების ძალა აღმიანის ხელ-
ოვნების ძალას აჯობებს, ეს არაფრათ
უნდა ჩაითვალოს. ბუნებასთან საბრძოლ-
ველად ჩვენ შეგვიძლიან უდიდესი ძალა
შევქმნათ, თუ რომ მოელი კახეთის სოფ-
ლები ერთად მოისურვებენ და ბევრს ალა-
გს გამართავენ მორტირების სადგურ-
ებს. ამასთანავე სასარგებლოთ მიმართია

ତେଣୁ ପ୍ରିୟଶ୍ରୀଙ୍କ ଡାକିଲ୍ଗାସ ମହାନ୍ତିର୍ଯ୍ୟବି ତିର୍ଯ୍ୟକ
ଅଳ ଡାର୍ଶ୍ୟବିଗୀ ଲର୍ଜୁବଲ୍ଲେବିସ ଗାସାଫାର-
ନ୍ଦ୍ୟଲ୍ଲେବଲ୍ଲାଟ, ସାନାମ ଲେନିକ ତାତାରା ଡା ଲ୍ରମ-
ନିଶ୍ଚନ୍ଦ୍ରଲୋନି ଏରିବାନ୍.

სეტყვის წინააღმდეგ მორტირებით
ბრძოლის რწევნის დაკარგვა — შემცდარი
აზრია.

၁။ လွှောက်နည်း.

ს. კონდოლი, ენკენისთვე. მარიამშ-
ბისთვის ნახევრიდგან ძალიან წყიმებია. ისე
რომ ბევრს კალოები გახალეში რჩება
და ზედ ძნებზედ ჯეჯალები ამოვიდა.
წყიმებს ზედ მოსცევს ხშირად სეტუაც.
ჯერ ქვემო ხოდაშენის თავი დაისეტუა,
ეხლა ამ ენკენისთვის 5-ში ღმით დასე-
ტუალა დადი რაიონი: სანიორე, ნაფა-
რეული, შექრიანი, ენისელი, გრეში, ში-
ლდა და ცოტა თვაზედ გაღულია ყვა-
რელში. უდიდესი ზარალი მიუყენებია
როგორც ვაზისთვინ ისე ახალ ნათეს სი-
მინდებისთვინ, რომელიც მაისის სეტუაის
შემდეგ განადუურებულ ყანების მაგიერ
დათესეს. ამ სიმინდების ღილი იმედები
ჰქონდათ, მაგრამ გაუცუვდათ. შილდი-
ან მოსულმა სოქვა, რომ ისეთი ღრია-
ლი ისმის ყველა სახლიდგან, თითქვს
ცხედარი ელოთო. სანიორეში ეტუაბა
სეტუასთან ერთად გრიგალიც ყოფილა,
რომ სულ დაუმტკრევია ძირში მთელი
სიმინდები და ხეიბი.

ყურძნის მოსავალი ისეთი მცირება წელს, რომ ბევრს ალაგს სეტყვაც რომ არა ყოფილიყო, მაინც ასაფერი მოყიდოდა. ვენახებს გაფუჭება ისე შეუჩნდევლად შეებარა, რომ ოვით პატრონებმა ძლიერს გაიგეს. და გაიგეს მხოლოდ მაშინ, როცა ერთს ორს კვირაში მიღლიურ, ნაც-არმა და გვალვამ უცბათ, ჩემთ მოსპოტურძნი. რაც მიღლიურ გადარჩა, ნაცარ-

მა მოულო ბოლო. ამ წევიმებზეც გვერდების
მერე ყურძენი ძალიან მობრუნდა, მაგრამ
რომელიც კი ნაცრიანია, სულ ისე სკლე-
ბა რომ მთლიან ისპობა. ჭმინდა ყურძე-
ნი კი ძალიან კარგია და საშინლიათ მა-
ტულობს მარცვალი, მტკვანი სულ ვა-
კედა.

ეს ნაცერი გვირცელდა ამ ზამტყულის
ბოლოს; ახალ მოყრილ ფოთლებზედ
ისე გადაედო, დაიჩითა, როგორც თოვ-
ლი დადგენული. შემდეგ აქედან გადავი-
და ყურძენზედ, როცა მოწევაში შევიდა.
ჩენმში გავრცელებულია ჰაზრი, ვითომ მო-
წევის დროს ნაცარი ყურძენს ვერას ვე-
ნებს, და ერთი ორი კარგი წვიმის შემ-
დეგ სულ გადარცებამს. აით მოტყუვ-
დნენ ბევრნი, რომელნიც მუშაობს და
გოგირდის დახარჯვას დაკარგულათ სოვლი-
ლენ.

ମାରୀବାନ୍ଦିଲେଖିତୁଳାନ କଲ୍ପିତ ଲେଖନ୍ଦିବଳେ
କ୍ଷେଣି ପ୍ରବାନ୍ଧିତ ମୁଶ୍କ-ମୁଶ୍କର୍ଯ୍ୟ ଯାତ୍ରା. ଲେଖନ
ସାମ୍ଭରି ବାଜମ୍ବେ ଲାଲାରୀ ଏହିରେ ରା ପ୍ରବାନ୍ଧିତ,
ଅର୍ପ ପିଲାଙ୍ଗାର ଦେଖିଲେ ମୁଶ୍କ-ଲା ବ୍ୟାନିରକ୍ଷଣ
ରୁ ମାତା ଶ୍ରେଷ୍ଠିତିନା. କ୍ଷେତ୍ରରେ ବାନ୍ଧବରୁ
ରାଜେ ଏହିରେ, କଥିରେ ଘନତକରୁ ଏହିରେ,
ବ୍ୟାନିରକ୍ଷଣ ଏହିରେ, ଆଶିନାତକରୁ
କ୍ଷେତ୍ରରେ ବାନ୍ଧବରୁ ଏହିରେ, କଥିରେ ଘନତକରୁ
ଏହିରେ ଏହିରେ ଏହିରେ ଏହିରେ ଏହିରେ—
କଥିରେ ଘନତକରୁ ଏହିରେ ଏହିରେ ଏହିରେ
ଏହିରେ ଏହିରେ ଏହିରେ ଏହିରେ ଏହିରେ—

ლინის ფასები ზღაპრულათ გადა-
იქცა: 60—70 ათას მანეთად მმატებ
საპანეს. აგრეთვე აფასებენ აზალს ტკილ-
საც, იმედოვნებენ, რომ 100.000 მა-
ნეთზედ ზევით აიწევსო საპანე.

სასურველია ეხლავე წამლეულობის
შეძენა და დამზადება სამემრისოთ.

၁၁၈။ မြန်မာနိုင်ငြပ်

კოოპერატიული საზოგადოება

„პასეიტი“

საზოგადოება „პასეიტი“ არსებობს 1895 წლიდან და
ამ ეპოდ 246 მეტენახე ითვლება წევრად. საზოგადოება
„პასეიტი“-ს წევრობა ძეგლიან ეპელა ქახელ მეტენახეს
და აგრეთვე ეპელა მას, ვინც კი ჩააბარებს საზოგადო-
ებას ნამდეიდ ქახურ დაინოს კოშკლ წლის.

მთავარი კონტრა საზოგადოება „პასეიტი“-სა მო-
თავსებულია თბილისში, დამფუძნებელ კრების ქუჩა № 5,
ტელეფონი № 13—23, ხოლო სარდაფი გოგოლის
ქუჩაზე № 63, საკუთარ შენობაში. ტელეგრაფით მისა-
მართი: თბილისი ქახეთი.

საზოგადოება „პასეიტი“-ს მთავარი საწეობები კა-
ხეთში ორ ალბათს არის მოწეობილი: თელავში „პა-
სეიტი“-ს ბიურო ალექსანდრე მაესტრილთხნ და კარდა-
ნახში, „პასეიტი“-ს ბიურო ნიკოლოს დარძმესილთხნ.

